№ 170, აგვისტო 6 ოთხშაბათი · 1886 · აგვისტო 6, ოთხშაბათი № 170

გაზეთი ღირს

თვეე	მან. კ.	თვეე	მან. კ.
12	10 —	6	6 —
11	9 50	5	5 50
10	7 75	4	4 75
9	8 —	3	3 50
8	7 25	2	2 75
7	6 50	1	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: ტფილისში რედაქციას, ახალ-ზებუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, შავერდოვის საგაზეთოს, ცენტრალურსა და კრიქუროვის წიგნების მაღაზიებს.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1886 წელიწადი · საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი · 1877—1886 წელიწადი

დღესასწაულის გამო ხვალ, ხუთშაბათს გაზეთი არ გამოვა.

ტფილისი, 5 აგვისტო

საჭირო არ არის კაცი საისტორიო გამოძიებათა ბარდებში გაება იმ უცილობელის და ყველასაგან ცნობილ ამბის დასამტკიცებლად, რომ პირველ-ყოფილ დროს, როცა თავ-და-პირველ დაეწყვნენ კაცთა საზოგადოებანი, ზოგადს ელემენტს საკუთრებისას, თუ არ განსაკუთრებით, გადაჭარბებით მაინც მეტი და უპირატესი ადგილი ეჭირა კაცთა ცხოვრებაში. სხვა-და-სხვა საეკონომიო და საპოლიტიკო თვისების მიზეზთა გამო მაგ ზოგადმა ელემენტმა საკუთრებისამ თან-და-თან გზა დაუთმო პირადსა და პირადის ელემენტის გამარჯვება მთლად და უნაკლულოდ გამოისახა მთელის თავისის სასტიკობითა ფეოდალობაში, რომელმაც შემოიტანა ბატონ-ყმობა, ესე იგი, იმისთანა წყობა, რომელიც მარტო უფლებაა უმოვალეობო, უსაზღვრო, პირობა დაუდებელი და რომელსაც სხვა საგანი არა ჰქონდა-რა, გარდა ცალკე კაცის პირადის კეთილ-დღეობისა.

საზღვარ დაუდებელმა უფლებამ საკუთრების პირადის ელემენტისამ მოუყარა თავი მამულებს კერძო კაცთა ხელში ცალ ცალკე, განაშორა მუშა ხელი სამოქმედო საგანს—მიწასა, განაცალკევა მუშა და სამუშავო საგანი. მაგ განშორებამ და განცალკევებამ დიდად შეარყია და შეშალა ბუნებრივი მდინარეობა ეკონომიურის ცხოვრებისა, იმიტომ-რომ ერთ-მხრივ დარჩა მუშა ხელი უმიწოდ და მეორე მხრივ მიწა უმუშა-ხელოდ.

აი სწორედ ამ გარემოებამ, ამ მდგომარეობამ შეახვედრა ერთმანეთს მამულის პატრონი და მუშაკი, მიწათ-მფლობელი და მიწათ-მომქმედი. აი სწორედ ამ გარემოებამ იძულებულ ჰყო მიწათ პატრონი და მუშა-კაცი ერთმანეთს შეჰჭიროდნენ და მოჰკრიგებოდნენ, ერთს ის მიეცა მეორისათვის, რაც თვითონ არა ჰქონდა, თორემ მიწაც უქმად დარჩებოდა და ხელიცა. თქმა არ უნდა, თვითონ მორიგება შესაძლო იყო მარტო იმ პირობით, რომ საკუთრების კერძო, პირადს ელემენტს დაეთმო რამ ზოგად ელემენტისათვის.

სწორედ ამაში აქვს დასაწყისი ყოველ გვარს სახეს სხვისა მიწის ხმარებისას მთელს ქვეყნიერობაზედ. ამაშივეა სათავეც და დასაწყისი ხიზნობისა ჩვენში. ხიზნობაში, რომელიც სხვა არა არის-რა გარდა იმისა, რომ ერთ გვარი სახეა სხვისა მიწის ხმარებისა, გაძლიერება საკუთრების ზოგადის ელემენტისა მეტად ცხადად და თვალ საჩინოდ გამოითქვა. ამ სახით თუ გადამეტებული გაუფლება საკუთრების პირადის ელემენტისა გამოისახა ბატონ-ყმობაში, ზოგადმა ელემენტმა თვისი ადგილი და ბინა მოიპოვა ხიზნობაში, როგორც ამას მერე ვნახავთ.

რომ ხიზნობის დასაწყისი და სათავე ეს არის და არა რაღაც ჭირი და შიმშილი, როგორც ზოგიერთს ჰგონია, ამას გვემოწმება ისტორია მთელის კაცობრიობისა. ესე ყოფილა ყველგან და ესე იყო ჩვენშიაც.. ამას იმიტომ ვამბობთ, რომ იგი ერთ გვარი წესი სხვისა მიწის ხმარებისა, რომელსაც ჩვენ ხიზნობას ვეძახით, მარტო ჩვენში არ არის: იგი ყველგან არის, ყველგან დღესაც არსებობს, განსხვავება მარტო სახელებშია და ზოგიერთ წვრილმანებში; ხოლო ბუნება და არსება კი ყველგან ერთი და იგივეა, როგორც ამას შემდეგში ვნახავთ.

ახალი ამბავი

⁂ რამდენსამე სოფლის მასწავლებელთ განუზრახავთ, რომ საერო საკითხავი წიგნები შეადგინონ და დაბეჭდონ ხოლმე. ეს, თქმა არ უნდა, ფრიად სასიამოვნოა, რადგანაც ამ გვარი წიგნები ძლიერ ეჭირვება ჩვენს ქვეყანას. სასურველია მხოლოდ, რომ ღირსება წიგნის შინაარსისა და ენისა ეშესაბამებოდეს ერთმანერთსა. ამ მასწავლებელთ ერთი წიგნი უკვე შეუდგენიათ და ამ ცოტას ხანში აპირებენ დაბეჭდვასაო.

⁂ ერთი ქართველი ყმაწვილი-კაცი, რომელიც ამ ჟამად ფეოდოსიაში არის და ბაღოსნობასა სწავლობს, არდგენს თურმე სახელმძღვანელოს ბაღოსნობისასა.

⁂ ვინ არ იცის, რომ თეატრს დიდი მნიშვნელობა აქვს. ყველგან თეატრს დიდს პატივსა სცემენ და თეატრში მოთამაშენიც თავიანთ თავს საზოგადო მოღვაწეს ეძახიან. ჩვენში, საუბედუროდ, თეატრი სამასხარაო დარბაზად, დროს გასატარებელ ჯამბაზობად არის გადაქცეული და თვით არტისტებსაც ისე აქვსთ გაქელილი და დამხობილი ქართულის თეატრის სახელი, რომ კაცს უკვირს, როგორ ითმენს ამდენს ხანს საზოგადოება და იმათ უწესო მოქმედებას ლაგამს არ ამოსდებსო. კაცი მოითმენს კიდევ, როდესაც ჭეშმარიტი არტისტი როლს არა სწავლობს და თავის მოვალეობას გულ-გრილად ეკიდება, მაგრამ, რას იტყვით იმისთანებზედ, რომელნიც ყოვლად უნიჭონი არიან, უცოდინარნი, თავი კი უნიჭიერეს არტისტებად მოაქვთ და კადნიერად და გულ-ხალვათად ჰბედავენ საზოგადოების წინაშე გამოსვლას ჩვენის არტისტებისაგან მთლად გათელილ და ძირს-დაცემულ საბრალო ხელოვნების უფრო უარესად ძირს დასაცემადა და დასამცირებლადა.

ეს სიტყვები გამოიწვია ჩვენის მხრით ერთმა ამბავმა, რომელიც ერთის სანდო პირისაგან შევიტყეთ. აი ეს ამბავი: სამი ახალ-გაზდა ყმაწვილი წასულა დუშეთის მხარეს წარმოდგენების გასამართავად. რა ვიცით, რა გვარად მოუხერხებიათ ნება-რთვის აღება და ამბობენ კი, რომ წარმოდგენებს ქართულის დრამატიულის დასის არტისტების სახელით გამართავენო. ახლა ვინ გახლავან ეს ყმაწვილები? ერთი სუფლიორია ქართულის დრამატიულის დასისა, მეორე, «აფიშების» დამტარებელი და მესამე «სტატისტის» როლების ამასრულებელი. ამ გვარმა ჯვარზე მცმელებმა ხელოვნებისამ უნდა დაუტკბონ საზოგადოებას ესტეტიური გრძნობა!

⁂ ქალაქში აგერ მთელი კვირაა ერთი საოცარი ხმა დადის. ამბობენ, რომ ავლაბარში ვიღაცა ქალს ცამეტი დღეა სძინავს და ვერ გამოუღვიძნიათ. ბევრს ეწვალნენ ექიმები, ძლივ-ძლივობით გამოაფხიზლეს, მაგრამ ისე დასუსტებული და ღონე-მიხდილია, რომ ექიმებს იმის მორჩენის იმედი აღარა აქვსთო.

⁂ 27 ივლისს სამზღვარ-გარედ წასულა პეტერბურგიდამ გენერალ-ადიუტანტი გრაფი ლორის-მელიქოვი.

ფელეტონი

ქეიფი

დამისხი, დამალევინე
ე ღვინო ოხერ-ტიალი,
ეგება წაღმა ვიფიქრო
სოფლის უკუღმა ტრიალი!
ეგება გულის-ვარამი
ჩავკლა მა ჯიხვის რქაშია,
თვალთ წინ დამიდგეს ლამაზი,
ჟრჟოლა მამკიდოს ტანშია,
დეზი ვკრა ჩემსა ლურჯასა
გადავერიო ზღვაშია.
თქვენთან ძაღლურად სიცოცხლეს
სიკვდილი მიჯობს ცდაშია;
ვერ მააწონებთ კარგს ყმასა,
რაც არ უჯდება ჭკვაშია!

ვაჟა-ფშაველა

1886 წ.

თეთრში გახვეული

(მოთხრობა მარკიზა კოლომბისა)

(შემდეგი*)

მეორე დღეს დილა ადრიანად წამოვხტი ფეხზე და თითქმის ორი საათი სარკის წინ რთვაში და კოპწიაობაში გავატარე. ცხრა საათზე სრულიად მზადა და გამოწყობილი ვიყავი. თუმცა მეტის-მეტი სისულელე იყო ჩემის მხრით ადრევე მორთვა და მომზადება, მაგრამ ვერ მოვისვენე და ვერაფრით ვერ ჩავაგონე ეს ჩემს თავსა.

— იქნება რა მოხდესო, მიკანანახებდა და მიჩურჩულებდა ჩემი მოუთმენლობა. იქნება მოგწეროს, რომ ესა და ეს გაიცანიო, ის გაგაცნობს ამა-და-ამასაო, ის კიდევ სხვასა, სხვა კიდევ სხვასაო და ამ სხვას-კი სრული ნება ექმნება, რომ შეგიყვანოს ქვრივისა და სინიორინას ოჯახში და წარგადგინოს გასაცნობადაო... ახლა ისიც ვიფიქროთ, რომ იმ კაცებს, უეჭველია, ჩემს გარდა სხვა საქმეც ექმნებათ, ახლა იმათი ძებნა, დაყოლიება და სხვა ათასი ამ გვარი დავიდარაბა ვიანგარიშოთ და გამოვა, რომ ის სჯობია ამ თავითვე მზად ვიყო, ყოველის შემთხვევისათვის-მეთქი.

არ მოველოდი... ისე ადრე მომივიდა ბარათი სქელს ინგლისურს ქაღალდზე, გრძელის ინგლისურის ხელით ნაწერი... იმას აღარ აგიწერავთ, როგორ დამიწყო გულმა ცემა, ხელები როგორ ამიკანკალდნენ, როდესაც კონვერტსა ვხსნიდი, არ აგიწერთ იმიტომ, რომ ეს გულის ძგერა და ხელის კანკალი არა ერთხელ და არა ორჯელ აუწერიათ ყველა ქვეყნის ყველა მოთხრობებსა და რომანებში, რომელთ კითხვაზედაც მთელს კაცობრიობას უთვლემნია. ბარათი იგი მომივიდა ფოსტით და შემდეგის შინაარსისა გახლდათ:

„სინიორ! მე თქვენ არ გიცნობთ. იმდენი თავისუფლებაც არა მაქვს, რომ გთხოვოთ: მოდით ჩემთან და გავიცნოთ ერთმანერთი-მეთქი. რა მოვახერხოთ?

ჯემმი ფაატ.“

თქმა არ უნდა, რომ ლოცვა-კურთხევა არ შევუთვალე წერილის წაკითხვის შემდეგ იმის დედას, რადგანაც თავისი მშვენიერი ქალი ასე თავისუფლებას მოკლებული ჰყოლია.

მართლაც რომ შესაბრალისი ვიყავ! შავის ფრაკითა და თეთრის—სამ ღილიანის ხელ-თათმანებით გახლდით გამოჭიმული, ყელზედ თეთრი აბრეშუმის ყელ-სახვევი მქონდა, „chapeau-claque“ იღლიაში მეჭირა, გული იმედებითა მქონდა აღსავსე.... მაგრამ რა გამოვიდა? გაცრუებული, თვალებ-გაჭყეტილი დავრჩი ისევ. ისეთ მდგომარეობაში ვიმყოფებოდი, როდესაც კაცს აზროვნობის ძაფი ეკარგება და გამოყეყეჩებულმა თითონაც არ იცის, თავითა ჰფიქრობს, თუ ფეხებითა. ერთი ბეწო მადა მქონდა და ისიც დამეკარგა. სტომაქის სისუსტემ ხომ გამანახევარკაცა.

საბრალო ქალი! მსხვერპლი გამხდარა ქინიანის და მორგვივით ჩარგვალებულის ქვრივისა-მეთქი, ვფიქრობდი მე... არა, არ შეიძლება ასე. ის მე მომენდო, თავის უბრყვილის გულითა მკითხავდა:

„რა მოვახერხოთო?“

მართლაც და რა მოგვეხერხებინა? ნუ თუ თავი დამენებებინა იმისთანა მშვენიერის სტომაქის პატრონის ქალისათვის და უბრძოლველად დავმარცხებულიყავი. არა და არა! უნდა მეფიქრა, მეწერილა, საშუალება მომეძებნა... ერთად ერთი საშუალება ის-ღა იყო, რომ კონდიტერის დუქანში მენახა ჩემი სატრფო.

ამის შემდეგ ჩარგვალებული ბებრუცუნა ჩემს თვალში ერთი ათად და ერთი ასად საძაგელი გახდა, ასისა და ას ოცის წლის მოხუცებულ და პირ-გამხმარ, პირ-დანაოჭებულ კუდიანად მეჩვენებოდა. იმისი ხარბი ჭამა და შაქრის პურების ყლაპვაც კი გულს მიმღვრევდა. ყოველს ლუკმაზე მე შემომცქეროდა, თითქო ჩემი გადაყლაპვაცა ჰსურსო.

უცბად ფიქრმა გამიელვა, იქნება ჩემი წერილი დედის ხელში ჩავარდა, ამ საძაგელის ბებერის ხელში და უნდა როგორმე ხელი შეუშალოს ჩვენს შეუღლებასა-მეთქი. გადავწყვიტე, რომ რაც შეიძლებოდა უფრო ფრთხილად მოვქცეულიყავ და უკან აღარ გავყევი, როცა კონდიტერის დუქნიდგან გამოვიდნენ.

ისინი ჩვეულებრივად სახლისკენ კი არ წავიდნენ, ფარჩეულობის მაღაზიაში შეიარეს. მაღაზიის პატრონმა წინ გაუშალა ლბილის ნაქსოვის ფარჩეულობა. სხვა-და-სხვა ფარჩეულობამ დაჰფარა მთელი მაღაზია, ნისლსავით შემოეხვია გარს სინიორინას.

— ბალის კაბას იკერავს! ბალისთვის ემზადება! აი კარგი შემთხვევა, რომ გავიცნო-მეთქი. განგებ შევიდა იმ მაღაზიაში, რომ მივმხვდარიყავი და ჯეროვანად მოვქცეულიყავ!.. სადაც უნდა იყოს ეს ბალი, გეფიცებით, მეც დავესწრები-მეთქი, ვფიქრობდი ჩემ თავად.

მოვყე ახლა და დავიწყე კითხვა, სად და როდის იქნება ბალი-მეთქი.

გახლდით უმაღლესის საზოგადოების ბევრს წევრთან, ბევრს გამოჩენილ უცხო ქვეყნელთანაც არავინ იცოდა, სად უნდა ყოფილიყო ბალი...

მე შფოთვა დავიწყე. მოვირბინე რაც-კი კლუბები და ყავახანები იყო. მომეცით, მომეცით ბალი, გამიმართეთ სადმე ბალი-მეთქი! ვყვიროდი ილაჯ გაწყვეტილი და ძალა გამოცლილი ბევრის სირბილითა და აქედ-იქით ხეთქებითა. ძლივს გავიგე ბოლოს, დორაგროსსაში იყო. ჩემის ნოტარიუსის კანტორიდგან გამოვიდა ერთი ყმაწვილი კაცი და ქუდი მომიხადა. მე თოფის ტყვიასავით დავახალე:

— ამ დღეებში ხომ არსად არა ხართ საცეკვაოდ მიწვეული.

— როგორ არა, გახლავართ: პეპესალესთან.

მე გამოვართვი ჯერ ერთი ხელი,

---

*) იხ. „ივერია“ № 169.

⁂ ტფილისელები უჩივიან ზოგიერთა რძის გამსყიდველებს: ისე რძეს არ მოიტანენ, რომ წამოდუღებასათანავე არ აიჭრას და არ გაფუჭდესო.

⁂ თავად დ. ი. ბარათაშვილის მამულში ლიტოგრაფიის ქვის გარდა, აღმოუჩენიათ ერთ-გვარი სამღებრო ქვა, რომელსაც რუსები „ოხრას“-ს (охра) ეძახიან. ეს მამული ბორჩალოს მაზრაშია, სოფ. კოტოშში. ნემენცების სოფელ ელიზაბეტტალიდგან ექვსს ვერსზედ მდებარეობს და ტფილისიდგან იქამდე სულ 3½ საათის სავალიაო. „ოხრა“ მეტად კარგის ღირსებისაა და ზეთში დაზელის მეტი აღარა-უნდა-რა, რომ სახმარებლად გამოდგესო. («კავკაზი»)

⁂ ყარსის მაზრის, სოფ. ახალმიხაილოვკაში ძალიან არის თურმე გავრცელებული საქონლის ჭირი. დახოცილისა და გახრწნილის საქონლის სუნი მთელს სოფელშია მოდებული და ჰაერსა შხამავსო, ამბობს გაზ. «ყარსი». აქაურები, იმის მაგივრად, რომ რაიმე ღონის-ძიება იხმარონ ჭირის მოსასპობად და საქონლის გადასარჩენად, ალოცვინებენ ვიღაცა მკითხავ დედაკაცებს და ფთილებს ახმევინებენო. ამის გამო ჭირი ეხლა ისეა გავრცელებული და გამძვინვარებული, რომ მთელს სოფელში ერთს ჭიქა რძეს ვერ იშოვნიო.

⁂ ამას წინედ იყო გაზეთებში დაბეჭდილი საჩივარი, ზელცერის წყალს რიგიანს არ ამზადებენ ქალაქში და ამითი შეიძლება ხალხი მოიწამლოსო. ახლა, გაზ. „ახ. მიმოხ.“ სიტყვით, ერთს კაცს დაულევია აკოფოვის დუქნის პირ და-პირ «ბუდკაში» ზელცერის წყალი და არწმუნებს საზოგადოებას, რომ წყალმა პირს მასაქმა და ამას გარდა საშინელი მყრალი სუნი ჰქონდაო. ამას მართლაც და ყურადღება უნდა მიექცეს: საჭიროა, რომ ქარხნებს, სადაც წყალს აკეთებენ და „ბუდკებს“, საცა ჰყიდიან, ხშირ-ხშირად სინჯავდნენ ხოლმეო.

⁂ 5 იულისს, ყარსის მაზრის, სოფ. ქიურდოს მცხოვრებელს გამიდმეჰდი-ოღლისა და იმის ცოლს დაუჭერიათ თავიანთივე სოფლელი მოლლა ყურბან-მამედ ოღლი და ცხვირი მოუჭრიათ. („ყარსი“)

⁂ 2 აგვისტოს, დილის 11 საათზედ, მეორე ნაწილში შვილი ურიადნიკის პოგორელოვისა მიხეილი, 6-ის წლისა, გაუფრთხილებლობით გადმოვარდა ფანჯრიდგან და მძიმედ დაიშავა თავიო. ყმაწვილისთვის შემწეობა აღმოუჩენიათ.

⁂ 2 აგვისტოსვე, მე-10 ნაწილში, ტფილისის სამხედრო უფროსის გამგეობის სახლის აივანზე იდგნენ თურმე ჯარის-კაცნი ამბროს მალახოვსკი და ივან რომიჩი, გაუფრთხილებლობით ძირს გადმოვარდნენ და მძიმედ დაშავდნენ. დაშავებულნი სამხედრო სამკურნალოში გაუგზავნიათ.

⁂ ამავე დღეს, № 111-ს ფაეტონში ინჟინერ-პოდპოლკოვნიკს გოლბერგს დაჰვიწყებია ქისა, რომელშიაც 74 მანათი ფული ყოფილა. მეფაიტონეს დაუმალავს ქისა და უარი განუცხადებია, აქ არა დაგრჩომიათ-რაო. პოლიციაში გაუსინჯავთ, ჯიბეში უპოვნიათ ქისა და პატრონისათვის დაუბრუნებიათ.

⁂ 3 აგვისტოს, 1 ნაწილში, საპიორნი ქუჩაზედ ვიღასაც მიუგდია ახლად დაბადებული ყმაწვილი-ვაჟი. ყმაწვილი საბებიო ინსტიტუტში გაუგზავნიათ.

⁂ 3 აგვისტოს, მე-10 ნაწილში, მტკვარში უბანავნია ტფილისის მცხოვრებელს ფრიდონ დონაძეს და დამრჩვალა. დამრჩვალის გვამი ვერ უპოვნიათ.

⁂ 3 აგვისტოს, მე-10 ნაწილში გიორგი ბალდასაროვის ყავახანაში უეცრად გარდაიცვალა ტფილისის მცხოვრებელი ალექსი დავიდოვი. გამოძიება სწარმოებს.

⁂ 3 აგვისტოს, მე-7 ნაწილში, კადბერის ქუჩაზედ, ტფილისის მოქალაქის ასლანოვის ათის წლის ვაჟს სოლოს გაუფრთხილებლობით გატენილი თოფი გავარდნია, ტფილისის მოქალაქის მანიევის თორმეტის წლის შვილ ვასოსთვის მოუხვედრებია მარჯვენა თვალში და მოუკლავს. გამოძიება სწარმოებს.

⁂ 3 აგვისტოს, გოლოვინის პროსპექტზე, თამამშოვის სახლებში, ტაინი სოვეტნიკის იანოვსკის სადგომი გაუღიათ შერჩეულის გასაღებებით და ორი შკაფი და ორიც სკივრი გაუტეხიათ. იანოვსკი ამ ჟამად ბორჯომში იმყოფება და ამიტომ ნამდვილად არ იციან, სულ რა და რამდენია დაკარგული. ქურდობას აბრალებენ ამავე სახლის ყარაულს, ქუთაისის მაზრის მცხოვრებელს ესტატე თოთურიას. გამოძიება სწარმოებს.

⁂ 4 აგვისტოს, მე-7 ნაწილში, ნავთლუღს, ქუთაისის გუბერნიის, სოფ. სვას მცხოვრებელს თომა გძელიშვილს უბანავნია მტკვარში და დამრჩვალა. დამრჩვალის გვამი ვერ უპოვნიათ.

ნაკვესი

წულუკიძემ ლხინში სიმონ ჭიჭინაძეს გოჭის თავი უთავაზა და უთხრა: ზმა სთქვი ამაზედაო.

— „ერგო ჭიჭინაძესაო“,—მიამახა სიმონმა და გოჭის თავი ჩამოართვა.

ლაზა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

სოფ. კაკი (საინგილო). ყველაზე ადრე საინგილოში შემოდის აბრეშუმი. წლეულს აბრეშუმი ბლომად მოვიდა. საზოგადოდ არავინ ემდურება პარკის შემოსავალს. შუათანა რიცხვი რომ ავიღოთ—ყველა მეკომურს ჰხვდება 5—6 ფუთი ნედლი პარკი. ყველა მეკომურს რომ «დაეჭირა» პარკი, ე. ი. გაეჩინა, მაშინ, რასაკვირველია, ეს რიცხვი გაორგასამკეცდებოდა; უბედურებაც ის არის, რომ ზოგი ხელობის უცოდინარობისა და ზოგი ფურცლის უქონლობისა და მოუწყობლობის მიზეზით ვერ აჩენს ამ მწერსა. უცოდინარობა და მოუწყობლობა რომ ხელს არ უშლიდეს, აბრეშუმის შემოსავალი, უეჭველია, 5—6-ჯერ მეტი იქმნებოდა. თუ ეხლა ზოგიერთ მეკომურმა, ჭიის რიგიანად მოვლის უცოდინარმა, „დაიჭირა“ 15—28 ფუთამდე, აბა რამდენს დაიჭერდა იგივე მეკომური, ჭიის რიგიან მოვლის წესი და სახსარი რომ გავრცელებული იყოს ამ ქვეყანაში! პარკის ფუთი წლეულს კაკის ბაზარში გაისყიდა 9—13½ მანათად; ასე რომ ზოგიერთებმა 250—300 მანათისა პარკი გაჰყიდეს. თქვენმა მზემ, ეს ფული კარგი სასყიდელია 30—40 დღის დედა-კაცთა შრომისათვის!

⁂

პარკის შემდეგ შემოვიდა, გაიჭრა, მოიმკო და გაილეწა ქერი და პური. მოსავალი წლეულს აქ კარგია. მარიამობისთვის გასულს და ენკენისთვის დამდეგს გაიჭრება და მოიმკება ფეტვი და «ჩალთუქი» (ბრინჯი). ჯერ-ჯერობით ორთავე ნათესს კარგი პირი უჩანს, ჩალთუქებს თავი კიდეც „უგრავთ“ (უჩვენებიათ). ამ ორთავე ნათესისათვის საჭიროა წვიმიანი ზაფხული და წყალი. ჩალთუქი, დათესის დღეებიდგან მოკიდებული, ვიდრე გაჭრამდის, წყალში უნდა იდგეს, ფეტვს კი რამდენჯერმე მორწყვა უნდა. თუ წყლის გარდა, წვიმიანი ზაფხულიც შეხვდა ამ ნათესებს, მაშინ ხომ ამაზედ უკეთესი არა იქნება რა. წლეულს სწორედ ასეთი ავდრიანი და ნამიანი ზაფხულია. კვირა არ გაივლის, რომ ერთი ლაზათიანი წვიმა არ მოვიდეს. ამის გამო ჯერ-აქნობამდის ჩვეულებრივი ზაფხული არ გვინახავს. აქაური დღეები ჯერ კიდევ გაზაფხულისასა ჰგავს. ყურძენში „თოლ შავდა“, ე. ი. თვალი შევიდა და ძალიან უხვადაც ასხია ვაზებს მტევნები.

⁂

აქაურს გლეხს შემოუვა კიდევ ვაშლი, მსხალი, კომში (ბია), ატამი, ქლიავი და სხ. ვაშლს ორმოებში ინახვენ ხოლმე საზამთროდ და ზოგი ისე გამძლო რომ მიწაში თებერვალ-მარტამდე არა ფუჭდება. მაგ., ტაშ-ალმა (ქვა-ვაშლა) კომშსაც ინახვენ, მხოლოდ ორმოებში კი არა—ჩარდახებში. ჩირს, ჩურჩხელას სრულიად არ აკეთებენ უცოდინარობისგამო. ქლიავს, მეტადრე, „ჩურჩას“ სთუთქვენ წყალში, ახმობენ და ჰყიდიან, ან სცვლიან მარილზედ. ორი პინა ან პინანახევარი ქლიავის კურკა რომ მისცე, ერთ პინა მარილს მოგცემენ. ჩურჩა ქლიავის კურკა ფასით თითქმის, უდრის თხილის ფასსა. ფუთი თხილი აქ ყოველთვის ისყიდება 2 მანათად და ისეთი გლეხი არ არის, რომ სულ ცოტა 2—3 ფუთი თხილი არ მოუვიდეს. არის ისეთიც რომ 30—40 ფუთსაც გაჰყიდის ყოველ წლივ.

ბოსტნეულობაზე ჩვენ აღარას ვამბობთ: ბოსტნებში ყველგან სიუხვის თვალი ტრიალებს. უნდა ისიც შევნიშნოთ, რომ ჩვენში სიმინდიც ბოსტნის მცენარედ ითვლება.

⁂

პარკზედ არა ნაკლებ კარგ შემოსავალს აძლევს აქაურებს თრიმლი. ეს მცენარე ჩაის ხესავით დაბალი იზრდება. იმის ფოთლებს საღებავისათვის და ტყავის მოსაქნელად ხმარობენ. ფასად ისყიდება მხოლოდ „ათაღრის“ (დიდი ტყეა სოფ. კაკის ახლო) თრიმლი. შემოდგომას, ზამთარს და გაზაფხულს ამ თრიმლს „ყადაღა“ ადევს. მარიამობისთვეში ერთს რომელსამე დღეს აიხდება ყადაღა და ხალხი ტყეს შეესევა ხოლმე. სჭრიან თრიმლს, ახმობენ, ჰბეგვენ და დანაყილ ფოთოლს ჰყიდიან. ფუთი ისყიდება 1—1½

მემრე მეორე და მადლობას ვეუბნებოდი. ისე გამახარა იმისმა სიტყვებმა, რომ ცოტას გაწყდა გულზედ არ მივიკარ თვალებ-დაჭყეტილი და გაოცებული ყმაწვილი კაცი.

— თქვენ წახვალთ? შევსძახე გახარებულმა.—მეც წამოვალ! მომიხერხეთ როგორმე, რომ მეც მიწვეული ვიყო.

— ძალიან კარგსა ბრძანებთ, სინიორ, ხოლო...

— გთხოვთ, გემუდარებით, უარს ნუ მეტყვით! თქვენ ვერ წარმოიდგენთ, რა გულით მინდა პეპესალეს ოჯახობის გაცნობა. ერთი ჩემი მხურვალე და გულითადი სურვილია მათი გაცნობა! დარდით არა მძინავს, არასა ვჭამ... ბატონი პეპესალე საჭიროა ჩემის სიცოცხლისათვის, ჩემის ბედნიერებისათვის...

საჭირო იყო თხოვნა და დიდი თხოვნაც, რომ დამეყოლიებინა როგორმე. საბრალო ყმაწვილი ხან აქედ ეცა, ხან იქით ეცა, ხან რა მიზეზები მოიდო, ხან რა საბუთი მოიყვანა.

— უბრალო, სულ უბრალო წვეულება გახლავთ, სადაც მე ვარ მიპატიჟებული. მიწვეულები სულ ახლო მეგობრები და ნათესავები არიან... უიმისოდაც მოცეკვავენი ბევრნი იქნებიან... მოცეკვავე ქალები კი გვაკლია...

ერთის სიტყვით, მე მეტი ვიყავ და არა-მკითხე სტუმარი არად ეპრიანებოდათ.

მაგრამ მე ჩემსას არ ვიშლიდი. ავეკვიატე და ვიდრე ძალი'ს ძალათი არ დავაპატიჟებინე თავი, არ მოვეშვი.

სამი დღე უნდა მელოდნა. ყოველ დღე მშვენიერი სინიორინა და ბურთივით მრგვალი მისი მშობელი კონდიტერთან ისაუზმებდნენ და შემდეგ შეივლიდნენ ხოლმე მაღაზიაში და თეთრს ნაქსოვს სამოსელში ეხვევოდნენ და იმოსებოდნენ.

დადგა ბალში წასვლის დროც. ჩავიცვი ჩემი საცოდავი შავი ფრაკი, საწყალი თეთრი ყელ-სახვევი შემოვიხვიე, დავიჭირე ხელში clague. ეს საბრალო ამდენი ვაი-ვაგლახისაგან დაზიანებულიყო და ყოველ მოძრაობაზედ როგორღაც ჰკვნესოდა და ჰგმინავდა. შევიმოსე და წაველი. ეტლი იქ შედგა, საცა ნათქვამი მქონდა. მე ფანჯარაში შევიხედე.

— აქ არ არის, ქვემოდ წადი ცოტა.

— აქ გახლავთ, სენიორ, ოც-დამეთერთმეტე ნომერი.

ხელ-ახლად დავუწყე იქაურობას სინჯვა. დიაღ, ის ქუჩა იყო, სწორედ ის სახლი; მაგრამ დერეფანში ბნელოდა, კიბე არ იყო განათებული და არამც თუ მსახური არა სჩანდა, ძაღლსაც კი არ დაუყეფნია. არც ხმაურობა ისმოდა, არც ერთი ეტლი არა სჩანდა. დავხედე საათს: თერთმეტის ნახევარი იყო. ნეტა რა უნდა იყოს-მეთქი. დავუწყე გაოცებულმა კითხვა ჩემს თავს.

პირველს სართულში ავედი: ყველა კარებები დაკეტილი იყო და არავითარი ხმაურობა არ ისმოდა. ავედი მეორე სართულში: ყველა კარებები დარაზულია და სადღაც შორს რაღაც ხმა ისმის. მესამე სართულში ხმა უფრო გარკვევითა და მკაფიოდ ისმის. უეჭველია, აქ იქნება, მაგრამ კარებები დაკეტილი რადა აქეთ.

თუმცა ეს გარემოება ცოტა არ იყოს მეუცხოვა, მაინც ზარს ჩამოვკარი.

— მსახური არა ჰყავთ, თუ რა ღმერთი გასწყრომიათ?—ვსთქვი ჩემ თავად:—რას მალოდინებენ მთელს საათს კარებში.

კარის გასაღებად მოირბინა იმ ჩემის ნოტარიუსის მწერალმა, რომელმაც ბალში დამაპატიჟებინა. მოსამსახურეები სულ არა სჩანდნენ. ერთად ერთ პატარა ლამპას, რომელიც იქვე შესავალში იყო ჩამოკიდებული, საზარელი ნავთის სუნი ასდიოდა. ნავთის სუნი, რომელიც ჩემთვის პირველი მავნე სუნია და ისედაც სუსტს სტომაქს, უფრო მისუსტებს. ნავთის სუნზე კინაღამ უკან გამოვბრუნდი, ის იყო დავაპირე კიდეც, მაგრამ მომაგონდა მშვენიერი ჯემმი, მორთული, სტომაქ მაგარი და შეყვარებულის გმირივით უცებ გავიხადე პალტო.

— ღმერთო ჩემო!.. ისე შეჰყვირა თვალებ-დაჭყეტილმა მწერალმა, თითქოს იმის წინ ეშმაკი, ქაჯი, მდევი, ერთის სიტყვით, რაღაც საშინელი და შესაზარი რამ სულიერი გაჩნდა და არა თქვენი უმორჩილესი მონა.

— თქვენ საბალოდა ხართ მორთული?..

მე ზიზღით დავუწყე ცქერა. არა, რას მიჰქარავს, ბრიყვი და სულელი ხომ არა ვგონივარ, რომ იქ, საცა ქალები საბალო ტანისამოსით იქნებიან მორთულნი, მე საბალოდ არა ვყოფილიყავ მომზადებული? შევხედე იმის ტანისამოსს, ქუდსა, შავს ყელ-სახვევსა, ამავე დროს წარმოვიდგინე თეთრში გახვეული ჯემმიცა და ვსთქვი ჩემს გუნებაში: რა მხეცია!-მეთქი.

მე დარბაზში შეველი, შლიაპა ილლიაში მეჭირა და ხელ-თათმანის მესამე ღილს ვიკრავდი. ვსთხოვე მწერალს დიასახლისს გამაცანი-მეთქი.

—დიასახლისი ჯერ აქ არ გახლავსთ... ის ჯერ-ჯერობით იქ უნდა იყოს...

— იქ წავიდეთ-მეთქი,—ვუთხარ მე და თავი მაღლა არ ამიღია, ხელ-თათმანების მესამე ღილს ვიკრავდი.

— რას ამბობთ,—შეჰყვირა ყმაწვილმა კაცმა და ხელი წამავლო,—სამზარეულოში აპირებთ წასვლას, თუ რაამბავიაო?

— სამზარეულოში?!

გაოცებულმა თვალები გავახილე და მივიხედ-მოვიხედე.

ერთს ციცქნა დარბაზში ვიყავი, რომელშიაც თაგვი კუდს ვერ მოიქნევდა და რომლის იატაკიც ფილაქნით იყო დაფენილი. მე გაოცებით შემომცქეროდნენ ვიღაც ბებერი დედა-კაცები და ჩითის კაბებით მორთული გოგოები. შემომცქეროდნენ და თან ქვეშ-ქვეშ ფრუტუნებდნენ ქუჩის ბიჭებსავით. სხვათა შორის, იქვე იყვნენ ხუთი-ექვსი ბაზაზხანის ბიჭები უხელ-თათმანებოთ და ყველანი ქალებთან ერთად ჩემზედ კისკასებდნენ და იღრიჭებოდნენ.

ამ დროს ჩემის ნოტარიუსის მწერალი, რომელიც აქამდე დიასახლისის საძებნელად იყო წასული, გაჩნდა ჩემ წინ და თან აეკვიატებინა ვიღაც შავად შეღებილს კაბაში ჩაცმული ქალბატონი. ამ ქალმა შიშველი ხელი გამომიშვირა.

— ძალიან სასიამოვნოა თქვენი გაცნობა, ბატონო...

აღარც-კი დაასრულა სიტყვა, უზრდელად, ბრიყვად და დათვივით ხელი მტაცა.

მე ვუთხარ, რომ ერთის წუთით შემოვიარე თქვენთან-მეთქი. ბოდიშს ვიხდი, რომ, ჩემდა საუბედუროდ, ვერ გეწვევით-მეთქი. ქორწილში ვარ დაპატიჟებული-მეთქი. რომ უფრო დამერწმუნებინა, ტანისამოსი ვაჩვენე და გამოვბრუნდი კარებისაკენ... მეტის ატანაც აღარ შემეძლო; სიანჩხლით ხელები მიკანკალებდა და ბრაზი მარჩობდა. ახლა თქვენ წარმოიდგინეთ, რა მდგომარეობაში უნდა ყოფილიყო ჩემი საცოდავი დასუსტებული სტომაქი!..

ორ-ანი

(შემდეგი იქნება)

მან. ერთ კაცს ერთ დღეს შეუძლიან 4—5 ფუთი დასჭრას. ბევრი ისეთი გლეხიც არის, რომ 50-60 მანათისას დასჭრის და გაჰყიდის.

⁂

მეტი არ იქნება შევატყობინოთ მკითხველებს დასხლოვებით მაინც აქაურ მუათანა შეძლების გლეხის წლიური წმინდა შემოსავალი, ფულად რომ ვიანგარიშოთ:

აბრეშუმიდამ — — —	80 მ.
ხორბლიდამ — — — —	150 „
თრიმლიდამ — — — —	50 „
თხილიდამ — — — —	50 „
ღვინო-ჭაჭადამ — — —	200 „
ბოსტნეულიდამ — — —	50 „
საქონლიდამ — — — —	100 „
სხვა წვრილმან შემოსავლიდამ —	40 „
სულ —	720 „

აქედამ რომ გამოირიცხოს ის, რაც გლეხს თავის საკუთარ საჭიროებისთვის მოუნდება, მაინც დარჩება:

აბრეშუმიდამ (პარკი, დომფალი, უჭი, ხაიათი და სხ.) —	80 მ.
ხორბლიდამ (საკუთარი საჭიროების გარდა) — — —	50 „
თრიმლიდამ — — — —	50 „
თხილიდამ (საკუთარ საჭიროებაზე მოხმარებულის გარდა)—	30 „
ღვინო-ჭაჭიდამ (საკუთარ საჭიროებაზე მოხმარებულს გარდა)	100 „
ბოსტნეულიდამ (ხახვი, ლობიო და სხ.) საკუთარის საჭიროების გარდა — — —	10 „
საქონლიდამ (მატყლი, ცხვარი, ერბო, ყველი და სხ.) —	100 „
სხვა წვრილმან შემოსავლიდამ —	30 „
სულ —	450 „

ჩვენის ფიქრით ეს ჯამი შემოსავლისა მუათანა შეძლების გლეხისა, ხარჯიც რომ გამოვაკლოთ, გარდამატებულად არ უნდა ჩაითვალოს. თუ გინდ სახეში ვიქონიოთ ის გარემოებაც, რომ აქ უმეტესს ნაწილს ცხვარი არა ჰყავს და ცხვრის შემოსავალი (70 მ.) გამოვაკლოთ, მაშინაც მაინც წმინდა მოგებად ჩაითვლება 380 მ.

ღ-ერის

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

გაზეთი „Русскія Вѣдомости“ ხშირად ჩამოაგდებს ხოლმე ლაპარაკს რუსეთის ფინანსებზე და აი დღევანდელს მეთაურს წერილში კიდევ ამ საგანს უბრუნდება. გაზეთის ანგარიშით, ამ 1886 წელსა, სახელმწიფოს მთელი შემოსავალი იქნება 750 მილიონამდე, გასავალი კი, როგორც ეხლავე ვარაუდით შედგენილ გასავალის რიცხვიდამა სჩანს, 809 მილლიონამდე ავაო. ამ სახით გასავალი აღემატება შემოსავალს 60 მილლიონამდე.

ამ სახითაო, ამბობს გაზეთი, ამ ნახევარ წლის განმავლობაშივე სახელმწიფო ხაზინას 60 მილლიონი ვალი დასდებიაო. უნდა იმედი ვიქონიოთ, რომ წლევანდელი კარგი მოსავალი საშუალებას მისცემს ხაზინას, ეს ვალი სრულიად თავიდამ მოიშოროს.

რა ჰქნას ფინანსთა სამინისტრომ, რა მოახერხოს? — კითხულობს გაზეთი და შემდეგ განაგრძობს:

ჩვენში დიდი ხანია ლაპარაკობენ გასავლის შემცირებაზე, მაგრამ მხოლოდ ერთი საშუალებაა, რომელსაც შეუძლიან ჩვენი ფინანსები როგორმე გაასწოროს ხარჯთა აღრიცხვის გარეშე მომეტებული სესხი უნდა შევამოკლოთო; ეს აუცილებლად საჭიროა, რომ ვალის გადიდება ცოტათი მაინც შევაყენოთო.

სხვა საშუალებას უნდა მივმართოთ ამ საქმის გასასწორებლადაო, ამბობს კიდევ გაზეთი: უნდა ვეცადნეთ ჩვენის ქვეყნის წარმოება გავაძლიეროთო. აქამდინ მთელი ჩვენი ყურადღება იმაზედ იყო მიქცეული, რომ დიდრონს მწარმოებლებს ვუწყობდით ხელსა და იმათ გაძლევდით შემწეობასაო.

⁂

ის ფული, რომელიც ეხლა სასოფლო სკოლებზე იხარჯება, ტყუილ-უბრალოდ გადაყრილი ფულიაო, ამბობს გაზეთი „Волжскій Вѣстникъ“-ი. გაზეთი ამას იმიტომ ამბობს, რომ სასოფლო სკოლებს ბიბლიოთეკები სრულიად არა აქვთო. რა საჭიროა წერა-კითხვის ცოდნა, კითხულობს გაზეთი, თუ სოფლის სკოლის მოწაფე თავის ცოდნას ვერ გამოიყენებსო, თუ წიგნები არ ექნება საკითხავადა, და თუ დროს მარტო იმაზე დაჰკარგავს სკოლაში, რომ 5—6 წლის შემდეგ კითხვა სრულიად დაივიწყოსო?

ამიტომ გაზეთი მიჰმართავს „ერობის“ მოღვაწეებსა და ურჩევს, რომ უთუოდ სასკოლო ბიბლიოთეკები დამართონ, თორემ უამისოდ სასოფლო სკოლებს არაფერი მნიშვნელობა არ ექნებათო.

თუ „ერობის“ მეთაურები შეიგნებენ იმ აზრსა, ამბობს გაზეთი, რომ კარგად მოწყობილს ბიბლიოთეკას არა ნაკლები მნიშვნელობა აქვს, ვიდრე თვით სკოლას, მაშინ სკოლის ბიბლიოთეკისთვის არ დაიშურებენ ფულს და ხარჯს არ მოერიდებიან, თუ კი თვით სკოლებზე ათასობით ჰხარჯვენო. წლიური ხარჯი სასოფლო სკოლას უნდება 400—600 მანათამდე, რიგიან სასკოლო ბიბლიოთეკაზე კი 150 მანათზე მეტი არ დაიხარჯება, ეს ხარჯიც მხოლოდ პირველს ხანებში მოუნდება, მერე კი შეიძლება წვრილ-წვრილად, ყოველ წლივ შეკეთდეს, შეივსოს წიგნებით ბიბლიოთეკაო; ამ შემთხვევაში ყოველ წლიური ხარჯი ბიბლიოთეკისა 30—40 მ. არ აღემატებაო. ასე რომ მთელის მაზრის სკოლებს, რომელთა რიცხვი 50—60 მეტი არ იქნება, ბიბლიოთეკისთვის $1^1/_2$—2 ათას მანათზე მეტი წელიწადში არ მოუნდებაო. თვით სკოლებზე „ერობა“ წელიწადში არა ნაკლებ 20—25 ათასს მანათსა ჰხარჯავს, ნუ თუ ბიბლიოთეკებისთვის „ერობა“ მოერიდება ზემოდ მოყვანილ ხარჯსა, მეტადრე თუ დავუთანხმდებით, რომ სკოლას ერთი-ორად მნიშვნელობა მოემატება, თუ სკოლებთან კარგი ბიბლიოთეკები იქნება დამართულიო.

გაზეთის აზრი იმდენად საყურადღებო და სამართლიანია და ისე გარკვევით არის გამოთქმული, რომ ამაზედ ლაპარაკი მეტი-ღა იქნება ჩვენის მხრივ. შევნიშნავთ მხოლოდ, რომ რუსეთის ბევრს ადგილას „ერობა“ კიდეც დაადგა ამ გზას, მაგალითად, ორლოვის გუბერნიაში, „სამაზრო ერობა“ რამდენიმე წელიწადია ცდილობს, შეძლებისა დაგვარად, სასოფლო სკოლებში ბიბლიოთეკები დამართოს. რუსეთში კიდევ ამ საქმეს ეშველება რამე; ყველა თუ არა, ზოგიერთი „ერობა“ მაინც თანაგრძნობით უცქერის ამ საქმეს.

⁂

ამ დღეებში გაზეთი „Новое Время“-ს ერთს განყოფილებაში, სახელდობრ, „Хроника“-ში, დაბეჭდილი იყო შემდეგი:

ვგონებ საინტერესო იქნება აღვნიშნოთ, რას ამბობს ბრიუსის კალენდარი წლევანდელ წელზე; აი ბრიუსის წინასწარ-მეტყველება: „ერთს დიდს სახელმწიფოში დიდი ცვლილება მოხდება. ერთს რესპუბლიკაში ახალი სახელმწიფო წესწყობილება დამყარდება. დიდი სისხლის ღვრა ჩამოვარდება. დიდი ხელმწიფე გამეფდებაო.“

რა ჭკუაში მოჰსვლია გაზეთს, რომ ეს გამტვერიანებული, უმნიშვნელო ამბავი, რომელსაც ყოველ სამ შაურიან კალენდარში შეჰხვდება კაცი, გაჰხსენებია და მერე სად?—‹Хроника›-ში დაუბეჭდია. ან რა ნახა გაზეთმა ამ ამბავში საინტერესო, საყურადღებო? ან იქნება გაზეთს, რომელიც უარსა ჰყოფს აწინდელს მეცნიერებას, ჰსურს აღადგინოს ის ძველთაგან ძველი მეცნიერება, რომელსაც ‹ვარსკვლავთ-მრიცხველობას› ეძახიან და რომელიც ხალდეველთა მოგვებმაც კი ზედ მიწევნით იცოდნენ? „Новое Время“-ს მოგვებისთვის ეს მეცნიერება სწორედ რომ შესაფერი იქნება!..

რუსეთი

— გარეშე საქმეთა მინისტრი, სტატს-სეკრეტარი, დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკი გირსი სამზღვარ-გარედ წავიდაო. თავის საკუთარის საქმეების გამო და სამკურნალოდ მინისტრი მივა ფრანცესსბადშიო.

— უმაღლესად ნაბრძანებია, რომ ნება მიეცეს ძმათა ნობელთა ამხანაგობას დამატებით გამოსცეს $2^1/_2$ მილიონის მანათის ობლიგაციებიო.

— ერთს სოფელში, ტიხვინის მაზრაში, დღეობა თურმე იყო. დღეობაში თამაშობასა და ცეკვას დასასრული არა ჰქონდა. ხალხი თურმე შექეიფიანდა. ბოლოს ასტყდა ხნუბი. სოფლის მასწავლებელს ოზეროვს ლაპარაკი მოუვიდა თურმე ერთს ახალგაზდა გლეხთან. საღამოზე, როცა ხალხი დაიშალა, მასწავლებელი გამოვიდა სახლიდან და დაიწყო სეირნობა. ამ დროს გამოვარდა თავის სახლიდამ ის ახალგაზდა გლეხი, რომელიც დღისით წაეხნუბა და რკინის ფიწალი თურმე ატაკა მასწავლებელს; მერმე წაიქცია და კიდევ რამდენჯერმე ატაკა ფიწალი ისე ძლიერ, რომ საწყალმა მასწავლებელმა იქვე განუტევა სული. მოგროვდა ხალხი და ეს უბედურება რომ დაინახა, ბევრი სცემეს მკვლელს და დააჭერინესო. ოზეროვი კარგი მასწავლებელი თურმე იყო. საცოდავს ობლად დარჩა ცოლი და ორი მცირე-წლოვანი შვილიო.

— იმავე სოფელში ერთმა გლეხმა მოჰკლა მგზავრი მლოცველიო, გაცარცვა და წამოიღო, თურმე ჰქონდაო და 15 მანათი ფული ამოაცალა ჯიბიდამაო.

— გაზ. „Заря“ შემდეგს შემაძრწუნებელს ამბავს მოგვითხრობს: ერთმა ქალმა პელაგია ნაკონეჩნაიამ საშინელის წამებით აწამა ამას წინად თავისი ორი წლის ქალი რაისაო. ეს მცირე წლოვანი ნაბუშარი თურმე იყო ამ ქალისა. როცა გათხოვდა, გაბარებული ბუშა თავისთან წაიყვანაო. ქმარი სასტუმროში მსახურობდა. ცოლს თავადაც უნდოდა რამე საქმე და სამუშაო ეშოვნა, მაგრამ არსად არ იღებდნენ თურმე ბუშის გადამკიდეო. პელაგიამ მოინდომა, რომ ეს ყმაწვილი მოეშორებინა როგორმე თავიდამ. მეზობლებმა უამბეს სასამართლოს, რომ ნაკონეჩნაია ხშირად სცემდა თავის ქალს მუშტითაო, არჩობდაო, პირს დაანარცხებდა და ფეხებით ზედ-შესდგებოდა ხოლმეო. როზგითაც სცემდა თავის შვილსაო. ერთის კვირის წინად ისე სცემა, რომ რამდენსამე დღეს ლოგინიდამ ვეღარ ადგაო. ამ დღეებში პელაგიამ წაავლო ყმაწვილს ხელი ფეხებში და ისე დაანარცხა იატაკზე, რომ თავ-თავი შეეშინდა და დაუწყო ცივის წყლის დასხმაო. რომ ვეტყოდით რასმე, გვეუბნებოდა: „თქვენი საქმე არ არისო. უთუოდ მოვკლავ მაგ გველის წიწილსო, თუნდა ამისთვის ციმბირშიაც გამგზავნონო“. ტანი ყმაწვილისა სულ დალურჯებული თურმე იყო. ბოროტი დედა დაჭერილია და მისი საქმე გამომძიებელს გარდაეცაო.

— გერმანიის კანცლერის ბისმარკის უგულო ქცევამ პოლიაკების შესახებ, ერთს პოლშელს კომპოზიტორს დააწერინა თურმე ოპერა, რომელსაც ნიუიორკში იმღერებენო. მთავარს როლს ბისმარკისას შეასრულებს ბარიტონი სივალსკიო.

— სარატოვში ვიღაც ქ.-ბ-ნს როდესტვენსკისას, იქაურის გაზეთების სიტყვით, განუზრახავს გამართოს ქარხანა და სპარსულის გამხმარ ჩამიჩის ღვინო აკეთოსო.

უცხოეთი

იტალია. ამ ჟამად ყველას თვალი ბისმარკისკენ უჭირავს. ყოველი იმისი სიტყვა, ყოველი ნაბიჯის გადადგმა სალაპარაკო საგანს აძლევს გაზეთებს. ეხლა გერმანია და ავსტრი-ვენგრია იმის ცდაშია, რომ იტალიაც მოიმხრონ და სამთა-კავშირი შეჰკრანო. ეს კავშირი მშვიდობიანობის თავდები იქმნება ევროპაშიო. მაგრამ თვით იტალია ეჭვის თვალით თურმე უცქერის ამ საგანს და როგორღაც ეძნელება კავშირი იქონიოს გერმანიისა და ავსტრი-ვენგრიასთან. არა მგონია, რომ მაგ კავშირმა სარგებლობა მოგვიტანოსო, ამბობს თურმე იტალია. აი რასა სწერს ერთს ფრანსიულს გაზეთს კორრესპონდენტი ქალაქ რომიდამ: გერმანიასა და ავსტრიას თავისი დიდი-ხნის მტრები ჰყავსო, რომელნიც მზად არიან თავს დაესხანო, ჩვენ კი მაგისთანა მტერი არა გვყავსო. მაშასადამე თუ კავშირს შევკრავთ იმათთან, ეს იმათთვის იქმნება სასარგებლო და არა ჩვენთვისაო; ჩვენ შიში გვქონდა საფრანგეთისა, მართალიაო, მაგრამ ეხლა ეს შიშიც აღარ არსებობსო. საფრანგეთს თუ ომი ექმნება ოდესმე, ეს ომი რეინის ნაპირებზე მოხდებაო. აქედამ ცხადადა სჩანს, რად ეპირება იტალიის მეგობრობა გერმანიასაო.

მაშ რისთვის გვინდა ავსტრიისა და გერმანიის მეგობრობაო. იტალიის პოლიტიკა ის იყო და არის, რომ განთავისუფლებულ იქმნას სრულიად იტალიის ერიო. დღეს გაუნთავისუფლებელნი იტალიელნი არიან მხოლოდ ავსტრიაშიო (ტრიესტსა და ტრიენტში) და თუ ავსტრიას დაუმეგობრებდით, ეგ ხომ ღალატი იქმნება ჩვენის აწინდელის და დღევანდელის პოლიტიკისაო.

თუნდაც რომ ბისმარკმა მოახერხოს და დაგვიმეგობროს, ეს მეგობრობა დიდხანს ვერ გასტანსო. მართალია, ჩვენი გარეშე-საქმეთა მინისტრი რობილანი წაბრძანდა გერმანიას, მაგრამ არა გვგონია, რომ რობილანმა რაიმე ვალდებულობა იტვირთოს გერმანიისა და ავსტრიის წინაშეო.

— ამას წინად ერთს მეთაურს წერილში გვქონდა მოხსენებული, რომ საფრანგეთი კარგად არ მოექცა იტალიასა, როცა პალატამ არ შეიწყნარა ის ხელ-შეკრულობა ზღვაზედ საიტალიო ხომალდების სიარულისა, რომელსაც ვადა გაუვიდაო. ეხლა ამ საგანზედ გაზეთები იწერებიან, რომ საფრანგეთი და იტალია უკვე მორიგდნენო. პალატამ გადასწყვიტა, რომ ვიდრე სესია დაიწყობოდეს, ისევ წინანდელი ხელ-შეკრულობა დარჩეს ძალაშიო.

— რომის პაპი ლევ XIII ძალიან თურმე ავად არის. ჰფიქრობენ, რომ შეიძლება პაპმა დიდხანს ვეღარ გაუძლოს ავად-მყოფობას და გარდაიცვალოსო.

* * *

გერმანია. ავსტრიისა და გერმანიის იმპერატორების ნახვასა გაშტეინში და მათ მინისტრების მოლაპარაკებას კისინგენში სრულიად ის მნიშვნელობა არა აქვსო, ამბობენ ნემეცური გაზეთები, ვითომ სამთა იმპერატორთა კავშირი დაირღვეს ამითიო. რომ ეს ასე არ არის, ამას ისიც ამტკიცებს, რომ იმ დროს, როცა ორი იმპერატორი და ორი მისი მინისტრი ერთმანერთის სანახავად შეიყარნენ, რუსეთში ერც-ჰერცოგი კარლ-ლუდვიგი იქმნა გაგზავნილიო.

მართალია, რუსეთის გარეშე საქმეთა-მინისტრი ვერ მივიდა იმ დროს კისინგენში, მაგრამ ეგ იმიტომ კი არა, რომ რუსეთის წარმომადგენელს ერიდება ვინმე, არამედ იმიტომ, რომ შინაურმა საქმეებმა დაუშალა გირსს წასულიყო იმ დროს კისინგენს და ბისმარკი ენახაო. ეჭვი არ არის, რომ რუსეთის მინისტრი შემდეგაც იპოვნის დროს და ინახულებს ბისმარკსაო.

— პეშტში წარმოუდგენიათ ამ დღეებში ახლად გამოცხობილი დრამა: „სიკვდილი ლუდვიგისა, ბავარიის კოროლისა“. მესამე მოქმედებაში ერთს არტისტს გადაკვრით დაუწყვია ლაპარაკი, რომ კოროლის სიკვდილის მიზეზი პრუსიის მანქანება იყოვო. პოლიციამ მოითხოვა, რომ წარმოდგენა შესწყვიტეთო. საზოგადოება ამის გამო აღელდა. მეტი ღონე არ იყო, ჟანდარმები ჩაერივნენ ამ საქმეში.

* * *

ავსტრი-ვენგრია. ვენაში სხვა-ნაირად უცქერიან თურმე გაშტეინის ამბავსა. ავსტრია და გერმანია კავშირს იმიტომ ჰკრავს, რომ მშვიდობიანობა არავინ დაარღვიოსო. ეს კავშირი მუქარაა ყველა იმათთვის, ვინც არ მოინდომებს ამ კავშირს მიემხროსო.

— გაზ. „პეშტის ლლოიდი“ კიდევ უფრო სხვა ნაირად ლაპარაკობს ამ კავშირის თაობაზე. კავშირის დედააზრი ის არის, რომ წინააღმდეგობა გაუწიოთ იმ სახელმწიფოს, რომელიც ბალკანიის კუნძულზე მოინდომებს თავის მფლობელობის დამყარებასა და გავრცელებასაო. კავშირი იმ სახელმწიფოს წინააღმდეგ არის შეკრული, რომელსაც მუდამ შიში

ჰყაველა ევროპა და ემუქრებოდა: აი ან ახლა დავარღვევ ევროპის მშვიდობიანობას, ან ახლაო. ჩვენ ბალკანებზე არ გვინდა ჩვენი მფლობელობა გავავრცელოთო, ჩვენ გვინდა მხოლოდ უცხო და მტრული ბატონობა გავდევნოთ იქიდამაო.

* * *

ინგლისი. პარნელელები აქამდე ჩუმად იყვნენ და ახლა კი ისევ დაუწყვიათ ლაპარაკი. ამას წინად 85 პარნელელი ირლანდიელი დეპუტატი შეკრებილა საიდუმლოდ და თავისი გარდაწყვეტილება გაზეთებში გამოუცხადებიათ. გლადსტონის პროექტიო, დაუდგენია კრებას, სულ მცირე რამ არის და სრულიად ვერ დაგვაკმაყოფილებს ჩვენაო. ამას გარდა ეხლანდელი სადგილ-მამულო კანონ-მდებლობა უთუოდ უნდა გადაისინჯოსო და იჯარის ფასი მამულისა უნდა შემცირდესო.

დეპეშა

აგვისტოს 4-სა

სარატოვი. კარგი დარები დადგა და მოსავალის მოვლას ადვილად ასდიანო.

რიბინსკი. პურის ფასმა აიწიაო.

ბერლინი. რუსეთის ჯარის ადლუმის (მანევრები) სანახავად მოდის დეპუტაციაო. დეპუტაციაში არიან: გენერალ-ლეიტენანტი გროლმანი, მაიორი გრაფ კელლერი, მაიორი პრინცი ზალმ-პორსტმარი და პარუჩიკი ჰუმბოლდტ-დუხრედენიო. დეპუტაცია გამოუთხოვა გერმანიის მემკვიდრე პრინცს და მოდის პეტერბურგსაო.

ბელფასტი. შაბათ ღამეს აქ კიდევ დაიწყეს არეულობა: შეთოფ-იარაღებული პროტესტანტები და კათოლიკები 4 საათის განმავლობაში ესროდნენ ერთმანერთს თოფებსა და რევოლვერებს. ორთავ მხრით რამდენიმე კაცია დაჭრილი და მოკლულიო; დილით ადრე ჯარმა სისხლდაუღვრელად როგორც იყო მოსპო უწესოებაო.

დუბლინი. პორტდაუნის ახლო დიდის ჩრდილოეთის რკინის გზის მატარებელმა რომ გამოიარა წარსულს ღამეს, დაუწყეს თოფის სროლა ვაგონებსა და ამასთანავე ქვასაც ესროდნენო. არავინ არ დაუჭრიათ.

* * *

საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქედ ჩყპვ (1886) წელიწადია. ქვეყნის შექმნიდამ **7394**.

ძველი ინდიქტიონი მე-14,

ამისი ქორონიკონი—უჲო=478 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4,

ამისი ქორონიკონი—მბ=42 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1886 წლის ზედ-ნადები—3.

აგვისტო 31 დღით არის

6 დღე ოთხშაბათი. ფერის-ცვალება უფლისა. კურთხევა ყურძნისა და სხვათა ხილთა. კათოლ. ფერის-ცვალება უფლისა. სომეხ. მარხვაა. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—2—39. ტფილისში მზე ამოდის 5—11, ჩადის 6—54; მთვარე ამოდის 8—58, ჩადის 8—1.

7 დღე ხუთშაბათი. ღირს. დომენტისა. კათოლ. წმ. ალმსაარ. კაეტანისა. სომეხ. წმ. სოფია და სამთა ასულთა. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—3—26. ტფილისში მზე ამოდის 5—12, ჩადის 6—53; მთვარე ამოდის 9—28, ჩადის 9—7.

8 დღე პარასკევი. წმ. ეპისკ. ემელიანესი. კათოლ. წმ. მოწ. კირიაკასი, ლარგასი და სმარაგდასი. სომეხ. მარხვაა. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—3—12. ტფილისში მზე ამოდის 5—13, ჩადის 6—52; მთვარე მოდის 9—59, ჩადის 10—5.

9 დღე შაბათი. წმ. მატათა მოციქ. კათოლ. წმ. მოწ. ანაკლეტასი პაპ. სომეხ. ეფესოს წმ. კრებისა 200 მამა-მთავართა. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—2—57. ტფილისში მზე ამოდის 5—14, ჩადის 6—51; მთვარე ამოდის 10—33, ჩადის 11—2.

10 დღე კვირა. წმ. მოწ. ლავრენტისა. კათოლ. წმ. ლავრენტისა. სომეხ. ალების ღამე წმ. ღვთის მშობლის მარხვისა. მარხვაა 5 დღე. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—2—42. ტფილისში მზე ამოდის 5—15, ჩადის 6—50; მთვარე ამოდის 11—12, ჩადის 12—3.

11 დღე ორშაბათი. წმ. ქალწ.-მოწ. სუსანნასი. კათოლ. წმ. ქალწ.-მოწ. ფილიუმენისა. სომეხ. პირველი დღე მღვთისმშობლის მარხვისა. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—2—27. ტფილისში მზე ამოდის 5—16, ჩადის 6—48; მთვარე ამოდის 11—57, ჩადის 1—3.

გამოსადეგი ცნობანი

ნიხრი

2 ივლისიდამ 1-ლ აგვისტოდამ.

თეთრი პური რუსული 1 გირ.	5	კაპ.
წითელი პური 1-ის ხარისხისა .	2½	
» » 2 »	2	»
თონის წითელი პური 1-ის ხარის.	4½	»
» » 2—	3	»
» » 3 »	2½	»
ჯვარის მამის პურის ლავაში		
1 ლის ხარისხისა . .	4½	»
მე-2 ხარისხისა . .	3½	»
მე-3 — . . .	3	»
ძროხის ხორცი 1-ლის ხარასხისა.	7	»
« » 2	6	»
სუკი	12	»
ცხვრის ხორცი . . .	6	»

მიმოსვლა რკინის გზისა

ბათუმსა და ტფილისს შუა

სტანციები	მოდის		გადის		სტანციები	მოდის		გადის	
	საათ.	წამი.	საათ.	წამი.		საათ.	წამი.	საათ.	წამი.
	დილით					დილით			
ტფილისი .	—	—	8	35	ბათუმი . .	—	—	8	35
ავჭალა. . .	8	52	8	55	ქობულეთი .	9	25	9	28
მცხეთა. . .	9	13	9	21	ნატანები . .	9	54	9	57
ქსანი . . .	9	39	9	41	სუფსა . . .	10	21	10	27
კასპი. . . .	10	6	10	9	ლანჩხუთი .	11	—	11	3
გრაკალი . .	10	29	10	31	ნიგოითი . .	11	14	11	16
გორი . . .	10	54	11	4	საჯავახო. .	11	39	11	41
ქარელი . .	11	33	11	36	ხამტრედია .	11	56	12	15
გომი . . .	12	—	12	4	კოპიტნარი .	12	35	12	37
ხაშური . .	12	21	12	41	რიონი . . .	1	7	1	20
სურამი . .	12	53	12	56	აჯამეთი . .	1	32	1	34
ფონი . . .	1	24	1	27	ყვირილა . .	2	11	2	26
ბეჟათუბანი.	2	14	2	34	ძირულა . .	3	4	3	6
მარელისი .	3	3	3	5	ბელაგორი .	3	33	3	36
ბელაგორი .	3	32	3	35	მარელისი .	4	3	4	5
ძირულა . .	4	2	4	5	ბეჟათუბანი	4	34	4	54
ყვირილა. .	4	43	4	58	ფონი . . .	5	41	5	44
აჯამეთი . .	5	35	5	37		საღამოთი			
	საღამოთი				სურამი. . .	6	12	6	15
რიონი. . .	5	49	6	4	ხაშური . .	6	27	6	42
კოპიტნარი .	6	34	6	36	გომი . .	6	59	7	3
ხამტრედია .	6	56	7	16	ქარელი . .	7	27	7	30
საჯავახო. .	7	31	7	33	გორი . . .	7	59	8	9
ნიგოითი . .	7	56	7	59	გრაკალი . .	8	32	8	34
ლანჩხუთი .	8	10	8	14	კასპი. . . .	8	54	8	57
სუფსა . . .	8	47	8	55	ქსანი . . .	9	22	9	24
ნატანები . .	9	19	9	22	მცხეთა. . .	9	42	9	48
ქობულეთი .	9	48	9	51	ავჭალა. . .	10	6	10	8
ბათუმი . .	10	41	—	—	ტფილისი .	10	25	10	55

ქუთაისიდამ გადის რიონს შუადღის 12 საათსა და 20 წამზედ და საღამოზედ 5 საათსა და 15 წამზედ.

რიონიდამ ქუთაისს მიდის ნაშუადღევს 1 საათსა და 30 წამზედ და საღამოს 6 საათსა და 20 წამზედ.

ტფილისსა და სურამ შუა

	დღისით					ღამით			
ტფილისი .	—	—	3	15	სურამი. . .	—	—	2	35
ავჭალა . .	3	38	3	41	ხაშური . .	2	47	3	2
მცხეთა . .	4	6	4	16	გომი . . .	3	26	3	31
ქსანი . . .	4	42	4	45	ქარელი . .	4	5	4	12
კასპი . . .	5	20	5	25	გორი . . .	4	53	5	8
გრაკალი . .	5	53	5	56	გრაკალი . .	5	40	5	45
	საღამოთი					დილით			
გორი . . .	6	28	6	43	კასპი . . .	6	13	6	19
ქარელი . .	7	24	7	29	ქსანი. . . .	6	54	6	57
გომი . . .	8	3	8	7	მცხეთა . .	7	23	7	33
ხაშური . .	8	31	8	46	ავჭალა . .	7	58	8	1
სურამი . .	8	58	—	—	ტფილისი .	8	24	—	—

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ:

ბათუმიდამ გადის: ოთხშაბათობით 4 ს. ნაშუადღ. მოკლე გზით, რადგან მარტო ნოვოროსიისკს და კერჩში შეივლის შორის გზით. შაბათობით 8 საათ. საღამოზე (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამეს შორის გზით, მოკლეს გზით—დილით.

შაბათობით სტამბოლიდამ მოდის დილით.

შაბათობით სტამბოლიდამ მოდის დილით.

განცხადებანი

ქუთაისის სათავად-აზნაურო სასწავლებელი.

მაქვს პატივი ვაცნობო ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა, რომელთაც ჰსურთ შვილები მოაბარონ რწმუნებულს ჩემდამი **სათავად-აზნაურო სასწავლებელში**, რომ მომავალის ენკენისთვისათვის მოსამზადებელის კლასის პირველს განყოფილებაში **ოც-და-ათი ვაკანსია** არის თავისუფალი, რომლებზედაც მიღებულ იქმნებიან უეგზამენოდ შვიდის წლის ყმაწვილები. რამდენსამე შარშანდელს მოსწავლეს ამ განყოფილებისას კიდევ ექმნებათ ეგზამენი აგვისტოს უკანასკნელ რიცხვებში და, თუ ისინი გადაყვანილ იქმნენ შემდეგ განყოფილებაში, იმ შემთხვევაში 30-ს ვაკანსიას კიდევ მოემატება რამდენიმე ვაკანსია.

მოსამზადებელის კლასის სხვა განყოფილებაში ყველა ვაკანსიები დაკავებულია და ვერავის მივიღებთ ამ წელიწადში. მესამე პროგიმნაზიულს კლასშია **ხუთი ვაკანსია** და ამ ვაკანსიების დაჭერა შეუძლიანთ თოთხმეტის წლის ყმაწვილებს, რომელნიც ამ კლასის შესაფერად მომზადებულნი აღმოჩნდებიან.

თხოვნა და საბუთები (წლოვანობის მოწმობა და აზნაურობისა, ან ბანკში მონაწილეობისა) ერთად უნდა შემოიტანონ სასწავლებლის მმართველის სახელზედ აგვისტოს 15 რიცხვიდგან. ყმაწვილების მიღების საქმე გარდაწყდება აგვისტოს უკანასკნელს რიცხვს.

სასწავლებლის მმართველი

(8—4) ა. ჭიჭინაძე.

„თეატრი“

ხაყოველ-კვირაო ლიტერატურული გაზეთი განაგრძობს მეორე ნახევარის წლის ხელის მოწერას.

წლიური ფასი . . . . 5 მან.

ნახევარ წლიური . . . 3 მან.

სხვა გადით ხელის-მოწერა არ მიიღება.

ხელის-მოწერა და განცხადებები მიიღება **მხოლოდ** ქ. თბილისში—**რედაქციის კანტორაში**, არწრუნისეულ ქარვასლაში, № 110.

ქალაქ გარეთ ხელის-მომწერთ ამ ადრესით შეუძლიანთ დაიბარონ გაზეთი: Тифлисъ, Въ редакцію газеты „Театръ“

რედაქტორ-გამომცემლის მაგიერი

ვ. გუნია.

ახალი წიგნი

(რუსულს ენაზედ)

„კერძო და საადგილ-მამულო უფლებანი ძველს საქართველოში“. I გამოცემა ფასი 35 კაპ. ისყიდება ტფილისის წიგნის მაღაზიებში. (50—4)

სოფელს წინამძღვრიანთ-კარში, დუშეთის მაზრაში, ტფილისის გუბერნიაში (საგურამოს კელში) სამა წელიწადია რაც არსებობს სასოფლო მეურნობის სკოლა, პირველ-დასაწყისის მოსამზადებელის კურსით, ფერმით და სახელოსნოთი. სასწავლო სკოლის კურსს შეადგენენ საგნები:

ა) სადმრთო სჯული;

ბ) რუსული და ქართული ენები;

გ) არითმეტიკა და პრაქტიკული გეომეტრია;

დ) მამულის შესწავლა, მოკლე გეოგრაფია რუსეთისა და ევროპის სახელმწიფოებისა და საზოგადო მიმოხილვა ქვეყნებისა;

ე) ზოოლოგია, ბოტანიკა და მინერალოგია;

ვ) მიწის შემუშავება, ხეხილისა და ვაზის კეთება, ბოსტნეულობა, ფუტკრის გაშენება, პირუტყვის მოვლა, სასოფლო მეურნეობის ანგარიშის ცოდნა და ტეხნოლოგია;

ზ) ჰიგიენა და პირუტყვთ მკურნალობა,

ჵ) ხატვა,

თ) ხორით გალობა

და ი) სწავლა ხელოსნობისა, დურგლობისა, მჭედლობისა, სლესარობისა და ბოჭკის კეთებისა. პირველ სექტემბერს ამ წლისას ამ სასწავლებელში, იქმნებიან მიღებულნი ჯან-მრთელი ორმოც-და-ათი ბაშვი, არა ნაკლებ ათის წლისა, ყველა წოდებისა, სარწმუნოებისა და ეროვნობისა. — სკოლას ჯერ-ჯერობით პანსიონი არა აქვს გამართული, ამისთვის სკოლის შეგირდები მოსიარულენი არიან, სწავლობენ სკოლაში და სარგებლობენ სწავლისთვის საჭირო წიგნებით უფასოდ. გამოცდა ყმაწვილებისა არ იქნება.

ვისაც ჰსურს მიაბაროს თავისი შვილი ამ სასწავლებელში, იმან უნდა წარმოადგინოს 1 სექტემბერს ყმაწვილი სკოლაში, სოფ. წინამძღვრიანთ-კარში, რომელიც მდებარეობს მცხეთიდამ თორმეტ ვერსზედ, და განუცხადოს იქ კრებას პირად, ანუ წერილით თავისი სურვილი და უშოვნოს ყმაწვილს სოფელში ბინა.

მზრუნველი სკოლისა ი. წინამძღვაროვი

ისყიდება მოსე ჯანაშვილის-მიერ შედგენილი წიგნები:

საქართველოს მოკლე ისტორია

ფასი 60 კაპ.

(ეს წიგნი უმაღლესის მთავრობისაგან მოწონებულია).

საქართველოს საეკლესიო ისტორია

ფასი 45 კაპ.

მერცხალი

ფასი 7 კაპეიკი.

შემდეგს ადგილებში: ტფილისში: გრიქუროვისა და ჩარკვიანის წიგნის მაღაზიებში და ა რეთვე შემადგენელისას. **ქუთაისში:** გჭილაძის მაღაზიაში. **თელავში:** ვ. როსტომაშვილთან; **სიღნაღში:** ვ. ქიტიაშვილთან; **სურამში:** ა. ქარსიძესთან; **ფოთში:** ხუმარაძესთან. **ყვირილაში** ბლაღ. ღამბაშიძესთან.

ვინც 20 ცალს «ა» გამოცემისას დაიბარებს პირ-და-პირ გამომცემლისაგან (Тифлисъ Михайл. ул, Г. Д. Картвелишвили). იმას წიგნი დაეთმ [illegible] შაურად.

Дозволено цензурою. Тифлисъ 5 августа, 1886 года. სტამბა გ. მელიქიშვილისა, არწრუნისეულ ქარვასლაში №№ 26, 27, 28. რედაქტორი და გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.